დამტკიცებულია:
სსიპ კოლეჯ „ოპიზარის“
დირექტორის 2021 წლის 12 მარტის N18 ბრძანებით

სსიპ კოლეჯი „ოპიზარი“

შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი

მუხლი 1. მიზანი და მოქმედების სფერო

1. წინამდებარე დოკუმენტით განისაზღვრება კოლეჯში დასაქმებული პირების, პროფესიული სტუდენტების, მსმენელებისა და კოლეჯის ტერიტორიაზე მყოფი პირების (შემდგომში ვიზიტორი) უსაფრთხოების, შრომის უსაფრთხოების (დასაქმებულების შემთხვევაში) მექანიზმები.

2. წინამდებარე დოკუმენტის ამოქმედების მიზანს წარმოადგენს კოლეჯის ტერიტორიაზე მყოფთათვის უსაფრთხოებისა და კოლეჯში დასაქმებული პირების შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

3. კოლეჯის ყველა თანამშრომელი, პროფესიული სტუდენტი/მსმენელი ვალდებულია ითანამშრომლოს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირთან, დაემორჩილოს წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრულ წესებს და შეასრულოს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ გაცემული მითითებები.

მუხლი 2. შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა

1. დასაქმებული პირების შრომის უსაფრთხოებისა და პროფესიული სტუდენტების, მსმენელების უსაფრთხოების დაცვისათვის საჭირო ღონისძიებები მოიცავს:

   1.1 კოლეჯის, როგორც დამსაქმებლის ვალდებულებების შესრულებას უსაფრთხოების დაცვის მიზნით;

   1.2 კოლეჯის, როგორც საგანმანთლებლო საქმიანობის განმახორციელებელი დაწესებულების მიერ უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნას;

   1.3 დასაქმებული პირების, პროფესიული სტუდენტების, მსმენელების და კოლეჯის ვიზიტორების მიერ წინამდებარე წესით გათვალისწინებული უსაფრთხოების წესების დაცვას.

   1.4 კოლეჯი ვალდებულია:

   ა) დაიცვას უსაფრთხოების სფეროში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სამართლებრივი მარეგულირებელი ნორმები და წესები;

ბ)დასაქმებულებს, პროფესიულ სტუდენტებს, მსმენელებს შეუქმნას შრომისა და სწავლისთვის უსაფრთხო გარემო;

გ)უზრუნველყოს კოლეჯის სასწავლო და სამუშაო ტექნიკური აღჭურვილობის უსაფრთხოება;

დ)დუალური პროგრამების, ასევე, კომპანიის ბაზაზე პროგრამის, მათ შორის, პროფესიული მომზადების ან პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების შემთხვევაში პარტნიორთან ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულების ფარგლებში გაითვალისწინოს საწარმოს ბაზაზე პროფესიული სტუდენტის/მსმენელის უსაფრთხო სამუშაო გარემოში სწავლების საკითხები.

ე)იზრუნოს მუშაობისა და სწავლის პროცესში საფრთხის შემცველი ფაქტორების იდენტიფიცირებაზე, შემცირებასა და აღმოფხვრაზე;

ვ)არ დაუშვას სამუშაოზე და სასწავლო გარემოში ალკოჰოლური, ნარკოტიკული, ტოქსიკური და ფსიქოტროპული სიმთვრალის ქვეშ მყოფი პირი;

ზ)უზრუნველყოს შრომის დაცვისა და მონიტორინგის სისტემების გამართული ფუნქციონირება;

თ)საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოს კომუნიკაცია სასწრაფო, სამაშველო, სახანძრო და სხვა სპეციალიზებულ სამსახურებთან;

ი)საჭიროების შემთხვევაში,უზრუნველყოს პირველადი გადაუდებელი დახმარებისა და ევაკუაციისთვის საჭირო ღონისძიებების გატარება.;

კ)უზრუნველყოს უსაფრთხოების საკითხებზე ტრენინგების, კონსულტაციების, სიმულაციების ორგანიზება;

2.პერსონალი და პროფესიული სტუდენტი ვალდებულია:

2.1 დაიცვას უსაფრთხოების სფეროში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სამართლებრივი მარეგულირებელი ნორმები და წესები;

2.2 დაესწროს დამსაქმებლის მიერ ორგანიზებულ უსაფრთხოების შესახებ საინფორმაციო შეხვედრებს, ტრენინგებს, მონაწილეობა მიიღონ სიმულაციაში;

2.3 დაიცვას შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მითითებები და რეკომენდაციები უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე;

2.4 არ შემოიტანოს კოლეჯის ტერიტორიაზე აალებადი, ფეთქებადი და მხუთავი აირების შემცველი ნივთიერებები;

2.5 არ გამოცხადდეს კოლეჯში ალკოჰოლური, ნარკოტიკული, ტოქსიკური ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში და არ მოიხმაროს ასეთი მდგომარეობის გამომწვევი ნივთიერებები;

2.6 დაემორჩილოს კოლეჯის ტერიტორიაზე, სამუშაო და სასწავლო გარემოში თამბაქოს მოხმარების შესახებ აკრძალვებს.

3. კოლეჯის ტერიტორიაზე მყოფი ვიზიტორი ვალდებულია:

3.1არ შემოიტანოს კოლეჯის ტერიტორიაზე აალებადი, ფეთქებადი და მხუთავი აირების შემცველი ნივთიერებები;

3.2არ გამოცხადდეს კოლეჯში ალკოჰოლური, ნარკოტიკული, ტოქსიკური ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში და არ მოიხმაროს ასეთი მდგომარეობის გამომწვევი ნივთიერებები;

3.3დაემორჩილოს კოლეჯის ტერიტორიაზე, სამუშაო და სასწავლო გარემოში თამბაქოს მოხმარების შესახებ აკრძალვებს.

მუხლი 3. უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირები

1. კოლეჯის ტერიტორიაზე უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს კოლეჯის შრომის , სახანძრო უსაფრთხოებისა და საგანგებო სიტუაციების მართვის სპეციალისტი.

2. კოლეჯში განხორციელებული პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში, შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფაზე პასუხისმგებლობა, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან ერთად, ეკისრება შესაბამისი პრაქტიკის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელს.

3. შენობის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობა, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან ერთად ეკისრება დარაჯს.

4. პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის ღონისძიებების მიმართულებით- მედდა;

5. უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფუნქცია შესაძლოა დამატებით დაეკისროს კოლეჯის სხვა დასაქმებულებს.

მუხლი 4. უსაფრთხოების დაცვის წესები

1. უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია:

   1.1 შენობაში საფრთხის რისკები დაიყვანოს მინიმუმამდე;

   1.2 დაიცვას თითოეული თანამშრომელის უფლებები დამსაქმებელთან;

   1.3 კოლეჯში დასაქმებულთათვის და პროფესიული სტუდენტების/მსმენელებისთვის ჩაატაროს სწავლება/შეხვედრები/ტრენინგები სახანძრო უსაფრთხოებისა და შრომის უსაფრთხოების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით;

1.4 აწარმოოს ჟურნალი, სადაც აღირიცხება შეხვედრები/ტრენინგების მონაწილეთა შესაბამისი ხელმოწერით;

1.5 იქონიოს შესაბამის უწყებებთან კოორდინაცია კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტების დაკმაყოფილების მიზნით;

1.6 უსაფრთხოებისთვის საჭირო დამატებითი რესურსების აუცილებლობის შემთხვევაში დასაბუთებული მოთხოვნით მიმართოს დირექტორს და უზრუნველყოს პროცესის მართვა;

1.7 უზრუნველყოს თანამშრომლების/პროფესიული სტუდენტების/მსმენელების საჭიროებისამებრ ინფორმირება.

2. უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი უფლებამოსილია:

2.1 კოლეჯის მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში, უსაფრთხოების ნორმების დაცვის მიზნით, გაატაროს საჭირო ღონისძიებები შესაბამისი (მთავრობის დადგენილება "სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე", ორგანული კანონი შრომის უსაფრთხოების შესახებ“) დადგენილების ფარგლებში;

2.2 შემხვედრ საჭიროებებზე საპასუხოდ იმოქმედოს დაუყოვნებლივ, კოლეჯის დირექტორთან შეთანხმების გარეშე;

2.3 ისარგებლოს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ დადგენილი რეგულაციებით;

2.4 ჩაატაროს სწავლება სახანძრო განგაშის სიმულირების გზით;

2.5 მოსთხოვოს კოლეჯში დასაქმებულებსა და პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს მისი მართლზომიერი მითითებების შესრულება.

2.6 საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოს კომუნიკაცია სასწრაფო, სამაშველო, სახანძრო და სხვა სპეციალიზებულ სამსახურებთან.

მუხლი 5. უსაფრთხოების აღჭურვილობა

1. კოლეჯი აღჭურვილია ყველა იმ საჭირო ინვენტარით, რომელიც განკუთვნილია უსაფრთხოებისთვის:

1.1 მოწყობილია სახანძრო სტენდები საჭირო აღჭურვილობებით;

1.2 გამოყოფილია სახანძრო სპეც ადგილები;

1.3 დამონტაჟებულია კვამლის დეტექტორები;

1.4 დამონტაჟებულია გაზის დეტექტორი;

1.5 დამონტაჟებულია საგანგაშო ღილაკები და ხმოვანი სირენები;

1.6 დამონტაჟებულია გასასვლელის მაჩვენებელი მნათობები (Exit);

1.7 განთავსებულია ცეცხლმაქრები;

1.8 განთავსებულია სახანძრო ჰიდრანტი;

1.9 განთავსებულია12 კუბური ტევადობის 4 ცალი წყლის ავზი;

2. ყველა სართულზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმა და ევაკუაციის დროს შენობიდან გასვლის მოქმედების წესი.შენობას აქვს დამატებითი საევაკუაციო გასასვლელები;

3. შენობის ხის კონსტრუქციები და სხვენი შეწამლულია ხანძარსაწინააღმდეგო ხსნარით;

4. სახელოსნოებში, ჩარხებთან და სამუშაო ადგილებზე გამოკრულია გამაფრთხილებელი და ქცევის წესები;

5. შემუშავებულია სახანძრო და საგანგებო სიტუაციების მართვისა და შეტყობინების გეგმები.

6. კოლეჯში განთავსებულია შიდა და გარე გამოყენების უსაფრთხოების კამერები.

მუხლი 6. საგანგებო სიტუაციების მართვის წესები

1. საგანგებო სიტუაციების შემთხვევაში კოლეჯი ხელმძღვანელობს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის დოკუმენტით.

2. საგანგებო სიტუაციების შემთხვევაში პასუხისმგებელი პირი:

   2.1.უნდა დაუკავშირდეს 24-საათიანი საგანგებო სიტუაციების მართვის ცენტრს ნომერზე 112;

   2.2 უსაფრთხოების ნორმების დაცვით უნდა მოახდინოს შენობის ევაკუაცია საევაკუაციო გეგმის შესაბამისად;

   2.3 შეძლებისდაგვარად მონაწილეობა მიიღოს ადამიანთა ევაკუაციაში, მატერიალურ ფასეულობათა გადარჩენასა და სხვ. შესაბამისი სამაშველო სამსახურის მითითების შემთხვევაში;

   2.4 ხანძრის შემთხვევაში უნდა უზრუნველყოს სახანძრო სიგნალიზაციის ჩართვა და იმოქმედოს შესაბამისად.

3. საგანგებო სიტუაციების შემთხვევაში პერსონალი ვალდებულია:

   3.1 დაუყოვნებლივ აცნობოს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს ნომერზე 112, ასევე კოლეჯის ხელმძღვანელობასა და შესაბამის პასუხისმგებელ პირს ;

   3.2 ხანძრის შემთხვევაში იხელმძღვანელოს „სახანძრო უსაფრთხოების ზომების ინსტრუქციის“ შესაბამისად;

4. ინფექციური დაავადებების გავრცელების ან/და გავრცელების რისკის არსებობის შემთხვევაში, კოლეჯი ვალდებულია გაატაროს პრევენციული ღონისძიებები პერსონალისა და სტუდენტების/მსმენელების, კოლეჯის ვიზიტორების ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საფრთხეების თავიდან აცილების მიზნით.

5. საგანგებო სიტუაციების, ინფექციური დაავადებების გავრცელების ან/და გავრცელების რისკის არსებობის შემთხვევაში კოლეჯის დირექცია ხელმძღვანელობს პასუხისმგებელ ორგანოთა მიერ გაცემული შესაბამისი ინსტრუქციების საფუძველზე, რომლის კოლეჯში დანერგვის მექანიზმი მტკიცდება კოლეჯის დირექტორის შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით.

მუხლი 7. გარდამავალი დებულებები

1. სსიპ კოლეჯ „ოპიზარის“ შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი მტკიცდება და საჭიროებისამებრ ცვლილებების შეტანა ფორმდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით.

2. წინამდებარე დოკუმენტში ცვლილებების შეტანის ინიცირება შეუძლია უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირს, რომელიც არგუმენტირებული მოთხოვნით მიმართავს კოლეჯის დირექტორს.

3. წინამდებარე დოკუმენტში ცვლილებების შეტანის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს დირექტორი.

4. საკითხები, რომლიც არ რეგულირდება სსიპ კოლეჯის ,,ოპიზარი'' შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესით, რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.